შევიდეს ცვლილება და დამტკიცდეს შპს ,,გეოგლობალ აკადემიის“
დირექტორის 2025 წლის 21 აგვისტოს N15383 ბრძანებით

მისია

შპს „გეოგლობალ აკადემია“ არის მრავალპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო სივრცე. აკადემია ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას, პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას. ამზადებს პროფესიული უნარებით აღჭურვილ, მაღალკვალიფიციურ, სხვადასხვა მიმართულების მქონე სპეციალისტებს, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ ქვეყნისა და ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში.

ხედვა

აკადემია 2031 წელს ეროვნულ საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებული და წარმატებული ხარისხიანი პროფესიული სწავლებისა და განვითარების კერაა, რომელიც საზოგადოებას სთავაზობს პროფესიული განათლების სერვისების ფართო სპექტრს, პასუხობს ქვეყნისა და ქვემო ქართლის წინაშე არსებულ გამოწვევებს.

ღირებულებები

ობიექტურობა - აკადემიის მიერ დადგენილი რეგულაციები და პროცედურები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და გამორიცხავს აკადემიის საქმიანობაში ჩართული პირების არაობიქტურობას და მიკერძოებულობას;
გამჭვირვალეობა - აკადემიის მისია, ხედვა და საქმიანობა ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის;
თანამშრომლობა - განსხვავებული მოსაზრებების შეჯერება აკადემიის საუკეთესო ინტერესების გასათვალისწინებლად;
გუნდური მუშაობა - საერთო მიზანი, ურთიერთდამოკიდებულება; კოლექტიური პასუხისმგებლობა; ერთმანეთის მიმართ ნდობა; ეფექტური კომუნიკაცია.
განვითარება - განვითარების მიზნით აკადემიის საქმიანობის შეფასება/რეკომენდაციების განხილვა პარტნიორებთან და დაინტერესებულ პირებთან ერთად;